# ხელშეკრულება 59

ქ. ბათუმი 28.08.2014

ჩვენ, ერთი მხრივ, შპს სარაგბო კლუბი ბათუმი (ს/კ 4454393495), მისი დირექტორის რუსლან რუსიძეს სახით შემდგომში მყიდველი და მეორე მხრივ შპს „გაზეთი ბათუმელები" (ს/კ 204447651) [რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, რეგისტრაციის №.06/4-1352, მის.: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის 48.] მისი დირექტორის მზია ამაღლობელის სახით, შემდგომში გამყიდველი ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას მყიდველს მიაწოდოს მის მიერ წარმოებული პროდუქცია, ხოლო მყიდველი იღებს ვალდებულებას, შესყიდული პროდუქციის სანაცვლოდ გადაუხადოს გამყიდველს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქციის ღირებულება.

**2.** პროდუქციის სახე:

2.1. პროდუქციის სახე- წიგნი, სახელწოდება - მოგზაურობა ძველ ბათუმში. ენა - ქართული. ზომა - 22 X 22; გვერდი - 228; ქაღალდი ცარცი.

**3.** ხელშეკრულების ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და დასრულდება ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ.

**4.** მხარეთა უფლება- მოვალეობანი

*4.1. მყიდველი* ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ფასი დათქმულ ვადაში.

4.2. მყიდველი ვალდებულია პროდუქციის მიღება rs.ge -ზე ატვირთული სასაქონლო ზედნადების დადასტურებით დააფიქსიროს.

4.3. მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს შესყიდული პროდუქცია მიიღოს დათქმულ ვადებში, წუნის [დაზიანების] გარეშე.

4.4. მყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ერთი წლის განმავლობაში, საჩუქრად მოითხოვოს გაზეთი - ბათუმელები.

*4.2. გამყიდველის უფლება-მოვალეობანი*

4.2.1. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს პროდუქცია მიაწოდოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღეში, წუნის [დაზიანების] გარეშე.

4.2.2. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს შესყიდული პროდუქცია მიაწოდოს მისამართზე - ბათუმი. ბარათაშვილის 28;

4.2.3. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში საჩუქრად მიაწოდოს გაზეთი - ბათუმელები [ფორმატი ა3, გვერდი- 24; გამოცემის დღე- ორშაბათი].

**5.** მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50.00 [ორმოცდაათი] ლარს.

5.2. ანგარიშწორების ფორმა ნაღდი ან/და უნაღდო.

5.3. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში შემსყიდველმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მონაცემებით: მიმღების დასახელება: შპს „ გაზეთი ბათუმელები", მიმღების ბანკი: საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101901; ა/ა № GE31PC0033600100024265; საიდენტიფიკაციო კოდი: 204447651 . დანიშნულება: წიგნის - ,,მოგზაურობა ძველ ბათუმში'' შესყიდვა.

5.4. ნაღდი ანგარიშწორების შემთხვევაში გამყიდველმა უნდა გამოწეროს სალაროს ორდერი. თანხა სალაროდან შეიტანოს ბანკში და საგადასახადო დავალების ელ ვერსია მიაწოდოს მყიდველს.

**6.** ფორს-მაჟორული გარემოებები

6.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემკვეთის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**7.** სხვა პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარის მიერ.

7.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა პირს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები.

7.4. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

**8.** მხარეთა ხელმოწერა

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | მიმწოდებელი: |
| შპს სარაგბო კლუბი ბათუმი | შპს ,,გაზეთი ბათუმელები" |
| დირექტორი: რ.ჩ[illegible] | დირექტორი: მ. ამაღლობელი |